თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 7

29 მაისი 2020 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილი თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ჩვენი სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	**გიორგი ჩაბრაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	**ზურაბ მუსაევი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	**ვასილ არაბული;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა მამუკელაშვილი;**
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე	**გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ლევან კოჭლოშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24-მა(ოცდაოთხმა) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორმა) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა, ა.ძულიაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.მრელაშვილმა** დასვა კითხვა ახალი სასწავლო წელს მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო თანხებთან დაკავშირებით.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ზ.გრიშკაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ რუისპირში არსებული მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, **წინააღმდეგი:** 04 (ოთხი) წევრი: **ლ.მენთეშაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილი, ა.კუპატაძე, ა.ძულიაშვილი.**

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორმა) წევრმა, **წინააღმდეგი:** 02(ორი) წევრი: **ა.კუპატაძე, ზ.გრიშიკაშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორმა) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ლ.მენთეშაშვილმა.**

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ლევან კოჭლოშვილის შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

დაადგინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ლევან კოჭლოშვილის შვებულება მიღებულ იქნეს ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ **ლ.კოჭლოშვილმა** და **ი.პარწიკანაშვილმა** მოითხოვეს სიტყვით გამოსვლის უფლება.

ლ.კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია სოფელ ართანაში დაჩქარდეს ინფრასტრუქტურული პროექტები სასმელი წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარე განათების სანათების მონტაჟი.

ი.პარწიკანაშვილმა კი ისაუბრა სოფელ აკურაში ელექტროგადამცემი ბოძების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ აუცილებელია დროულად მოხდეს ამორტიზირებული ბოძების შეცვლა, ასევე ხაზი გაუსვა სოფელ აკურაში დასუფთავების კუთხით არსებულ პრობლემებს.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**